შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“-ს ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების შეთავაზების წინადადება
(მოწვევის ოფერტა)
საჯარო დოკუმენტი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
2013 წლის 20 მარტის №176/9 გადაწყვეტილების თანახმად

ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების მსურველი პირი უპირობოდ იღებს ვალდებულებას არ მოიხმაროს მომსახურება სახელმწიფო, სამოქალაქო და საზოგადოებრივი ინტერესების, ასევე სხვა მომხმარებლების და შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“-ს საზიანოდ. მომსახურების მისაღებად გამოიყენოს მხოლოდ სერტიფიცირებული აპარატურა, გამორიცხოს სხვა მომხმარებლების და შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“-ს მოწყობილობების ფუნქციონირებაზე ნებისმიერი სახის უარყოფითი ზემოქმედება, დაიცვას უსაფრთხო ექსპლუატაციის ნორმები, კავშირგაბმულობის სფეროში მიღებული წესები და სტანდარტები. გაითვალისწინოს ინსტრუქციები, რომლებიც პერიოდულად, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლოა მიიღოს შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“-სგან მომსახურების ხარისხის ოპტიმიზების მიზნით.

1. ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების მისამართი: ქ. თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ.№16, შპს „სისტემ ნეტ“-ი.

   დაშვების წერტილში გამოყენებული ინტერფეისები: Ethernet 10გბიტ/წმ

2. ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების ტარიფები:

მოხმარებული არხის სიჩქარე (მბიტ/წმ)	ერთჯერადი საინსტალაციო გადასახდელი, არ შეიცავს დღგ-ს (აშშ დოლარი)	ყოველი 1მბიტ/წმ მომსახურების ყოველთვიური საფასური, არ შეიცავს დღგ-ს (აშშ დოლარი)
≥10000	-	17,10

შენიშვნა:

ვინაიდან შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ მხოლოდ პირობითად შეიძლება იქნას მიჩნეული გლობალური ინტერნეტ-რესურსის პირველად წყაროდ და მას, თავის მხრივ, გააჩნია საანგარიშსწორებო ვალდებულებები აღნიშნულ რესურსთან დაშვებასთან დაკავშირებით საქართველოს არარეზიდენტ პირ(ებ)თან, შეუძლებელია ტარიფის დაფიქსირება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებით, შესაბამის ანგარიშ(ებ)ში გამოყენებული გაცვლითი კურსით.

3. ანგარიშსწორების პირობები:

3.1. ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების მომსახურების გაწევის სანაცვლოდ, მომხმარებელი გადაუხდის შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტს“:

1) ერთჯერად საინსტალაციო გადასახდელს და

2) ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში - მომსახურების ყოველთვიურ საფასურს.

3.2. მომსახურების საფასურის დარიცხვა დაიწყება მომსახურების აქტივიზების მომენტიდან, რაც აისახება მომსახურების დაწყების აქტში.

3.3. მომსახურების დაწყების აქტის ხელმოწერიდან არაუმეტეს (სამი) 3 კალენდარული დღის განმავლობაში მომხმარებელი გადაუხდის შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტს“:

1) ერთჯერად საინსტალაციო გადასახდელს;

2) მომსახურების პირველი თვის საფასურს (არასრული თვის მომსახურების საფასური გაითვლება პროპორციულად მომსახურების ყოველთვიური საფასურიდან. მომსახურების ერთი (1) სრული თვე გულისხმობს ოცდაათ (30) კალენდარულ დღეს; და

3) სადეპოზიტო გადასახდელს, მომსახურების ერთი (1) სრული თვის საფასურის ოდენობით. აღნიშნული სადეპოზიტო გადასახდელი, მომხმარებლის მხრიდან საანგარისწორებო ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში, ჩაითვლება მომსახურების ბოლო თვის გადასახადში.

3.4. ყოველი თვის 5 რიცხვამდე, შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ წარუდგენს მომხმარებელს მიმდინარე თვის ანგარიშს, ლარებში, ანგარიშის შედგენის მომენტში მოქმედი გაცვლითი კურსით აშშ დოლართან მიმართებით, რომელიც გადახდილი უნდა იქნას სრულად, მომსახურის საბანკო ანგარიშზე, წარდგენიდან ხუთი (5) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.5. მომხმარებლის მხრიდან საანგარიშსწორებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ იტოვებს უფლებას, მომხმარებლისთვის გაცემული შეტყობინების თანხლებით, შეაჩეროს მომსახურება შესაბამისი საანგარიშსწორებო ვადის გასვლიდან ერთი (1) კალენდარული დღის შემდეგ, მის მიმართ წარმოქმნილი დავალიანების სრულად დაფარვამდე.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ იტოვებს უფლებას ცალმხრივად, მომხმარებლის მიმართ რაიმე ვალდებულების წარმოშობის გარეშე, გააუქმოს ხელშეკრულება, თუ მომხმარებელი არ დაფარავს დავალიანებას სრულად მისი წარმოქმნის მომენტიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში, სადეპოზიტო გადასახდელი ჩაითვლება ბოლო თვის მომსახურების საფასურად.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ იტოვებს უფლებას დააკისროს მომხმარებელს და მიიღოს მისგან საურავი, დროულად გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დავალიანების სრულად დაფარვამდე. შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“-ს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმება არ გაათავისუფლებს მომხმარებელს საანგარისწორებო ვალდებულებების, მათ შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საურავის გადახდის ვალდებულების შესრულებისგან.

3.6. შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“-ს მხრიდან მომსახურების ექვსი (6) და მეტი მიმდევრული საათის განმავლობაში შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ეს არ იყო გამოწვეული ა) გეგმიური პროფილაქტიკური ან/და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარებით, ბ) ფორს-მაჟორის ზემოქმედებით, გ) მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით და დ) შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“-ს პასუხისმგებლობის ზონის (ქ. თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ.№16) მიღმა წარმოქმნილი გაუმართაობის შედეგად, მომხმარებელს ექნება უფლება მოითხოვოს და მიიღოს კომპენსირება, რომელიც გაითვლება მომსახურების საფასურიდან, მომსახურების შეწყვეტის ხანგრძლივობის პროპორციულად, მომსახურების შეწყვეტის და აღდგენის შესახებ მხარეებს შორის გაფორმებული აქტის შესაბამისად. კომპენსირება განხორციელდება მორიგი ანგარიშის შემცირებით შესაბამისი თანხით.

მომხმარებელს ექნება უფლება ცალმხრივად გააუქმოს ხელშეკრულება, თუ შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“-ს ტექნიკური მიზეზით მომსახურების შეწყვეტის ხანგრძლიობა აღემატება 15 (თხუთმეტ) მიმდევრულ დღეს. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელს ექნება უფლება გამოითხოვოს და მიიღოს 1) მიმდინარე თვეში გადახდილი ყოველთვიური საფასურის ნაწილი, გათვლილი მომსახურების შეწყვეტის მომენტიდან კალენდარული თვის ბოლომდე და 2) მის მიერ გადახდილი სადეპოზიტო გადასახდელი.

3.7. წინამორბედ პუნქტებში აღწერილი ანგარიშსწორების პირობები ერთნაირად ვრცელდება თითოეულ ცალკეულ არხზე და მათ ერთობლიობაზე.

3.8. ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების მომსახურებასთან დაკავშირებით შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“-ს და მომხმარებლის მატერიალური პასუხისმგებლობა შემოიფარგლება წინამდებარე ოფერტაში მოცემული პირობებით, რომლებიც გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულებაში. არცერთი მხარე არ იქნება სხვაგვარად პასუხისმგებელი მეორე მხარის მიმართ, მის მიერ განცდილ ნებისმიერი სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ ზარალზე.

4. ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვებაზე ან/და დამატებითი რესურსის გამოყოფაზე წერილობითი განაცხადის მიღების მომენტიდან არაუმეტეს ათი (10) კალენდარული დღის ვადაში, შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ განიხილავს აღნიშნულ განაცხადს და აცნობებს დაინტერესებულ პირს შესაძლებელია თუ არა ტექნიკურად მისი დაკმაყოფილება.

5. ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების ვადა შეადგენს შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“-ს მიერ დაინტერესებული პირის განაცხადის დაკმაყოფილების შესახებ დასტურის გაცემის მომენტიდან არაუმეტეს ათი (10) კალენდარული დღისა.

6. ჩვეულებრივ პირობებში შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს ყოველდღიურად, უწყვეტად, 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში.
მომსახურების ხარისხის ოპტიმიზების მიზნით, შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“, პერიოდულად, აუცილებლობის შემთხვევაში, ჩაატარებს გეგმიურ ტექნიკურ სამუშაოებს, რომლებიც დაიგეგმება და შესრულდება დროის ისეთ მონაკვეთში, როცა მომხმარებელმა შესაძლოა განიცადოს ნულოვანი ან

მინიმალური ზარალი. აღნიშნული სამუშაოების დაწყების და მოსალოდნელი ხანგრძლივობის შესახებ მომხმარებელი გაფრთხილებული იქნება 48 (ორმოცდარვა) საათით ადრე. საკუთარ ტექნიკურ საშუალებებზე გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარების შესახებ შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“, აცნობებს მომხმარებელს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში.
არცერთი მხარე არ იქნება პასუხისმგებელი მეორე მხარის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევაზე ფორს-მაჟორის უშუალო ზემოქმედების შედეგად. ფორს-მაჟორს მიეკუთვნება ომი, ტერორი, ჯანყი, საყოველთაო სამოქალაქო საპროტესტო ღონისძიებები, ბუნებრივი კატაკლიზმები, სტიქიური კატასტროფები, საბოტაჟი, მხარე(ებ)ზე იურისდიქციის მქონე ორგანოების სავალდებულო შემზღუდავი დადგენილებები, ასევე სხვა იძულებითი გარემოებები, რომლებიც არ ექვემდებარება კონტროლს მხარეების მიერ და რომელთა პროგნოზირება შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადების მომენტში. მხარეებს აქვთ უფლება გააუქმონ ხელშეკრულება თუ ფორს-მაჟორის ხანგრძლივობა აღემატება ოცდაათ (30) დღეს.

7. ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვებაზე დაინტერესებული პირის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მას გასაცნობად გადაეგზავნება ხელშეკრულების ტექსტი, რის შემდეგ მხარეები გააფორმებენ ხელშეკრულებას. მხარეების შეთანხმების შემთხვევაში, ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს განსხვავებულ პირობებს. ხელშეკრულება შევა ძალაში მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის და ბეჭდით დამოწმებისთანავე. ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ნებისმიერი დავის წარმოქმნის შემთხვევაში, მხარეები გადაწყვეტენ მას ურთიერთშეთანხმებით ან, თუ შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მხარეებს აქვთ უფლება მიმართონ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს ან/და სასამართლოს. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1’ პუნქტის შესაბამისად.

8. ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების შესახებ წინამდებარე ოფერტის მოქმედების ვადა შეადგენს ექვს (6) თვეს. ოფერტის მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება იგივე პერიოდ(ებ)ით, თუ აღნიშნული ვადის დასრულებამდე ათი (10) კალენდარული დღით ადრე არ იქნება გამოქვეყნებული ახალი ან მოდიფიცირებული ოფერტა.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის
ქსელი-ფოპტნეტი“-ს დირექტორი ი.ინჯია

31 ივლისი 2013წ.